


1936

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# მამა მშობრული



1 9 3 6 6.

№ 10



# „თებთმგზელი“

№ 10  
ოქტომბერი  
1936 წ.

სამ. ა. ლ. კ. კ. იმეასა და სამ. განსახკომ-  
ის მართობიური ორგანო

ფელიწადი 86-10

სამ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“  
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34,  
ტელ. №-3-02-61

## შ ი ნ ა ა რ ს ი

- 1. ალ. სულაგა, — გმირული წარსული ნახატებში (წერილი) . . . 1
- 2. მარიგან, — ქაჩრა (ლექსი) . . . . . 3
- 3. ბ. ჩხეიძე, — ადამიანი, რკმი და შველი (მოთხრობა) . . . . . 4
- 4. გ. კაჭახიძე, — ჩენი ქუჩა (ლექსი) . . . . . 7
- 5. ივ. მაჭავარიანი, — ირმა და ქუცნა (დასასრული) . . . . . 8
- 6. ს. ჟლენტი, — გურა წიფელარმიელბთან (ლექსი) . . . . . 11
- 7. გ. კალანდაძე, — სისამური და მისი სამშობლო (ნარკვევი) . . . 11
- 8. ა. ონელი, — რა კარგია შემოდგომა! (ლექსი) . . . . . 12
- 9. კლ. თევზაძე, — თულ ვერნი (წერილი) . . . . . 13
- 10. ჟ. ვერნი, — თევზ-ჩაქუჩა (მოთხრობა) . . . . . 14
- 11. შ. მარიანაშვილი, — რა შეემთხვა მონადირეს აფრიკის ტყეში  
(ნარკვევი) . . . . . 16
- 12. თამარ შავერზაშვილი, — ბავშვების სიმღერა (ნოტი) გარეკ. IV გვ.

მხატვარი ი. ქოჭიაშვილი და ვ. გვეტაძე

### ჩვენს მკითხველებს

ს. წველის „რწყილი და ქიანკველას“ ბეჭდვა შეწყვეტილია  
სიდიდის გამო. იგი მომავალ წელს გამოვა ცალკე წიგნად.  
რ ე ღ ა ქ ც ი ა

პ/მგ. რედაქტორი: ბაბო ბაბინაშვილი      პ/მგ. მდივანი: ლ. ბიბინაძე



# გვიჩუდი ნაკსუდი ნახავებუი

ალექსანდრე სულავა

უკვე მესამე თვეა, რაც საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის გაღწერაში გაიხსნა შეტად დიდ-მნიშვნელოვანი გამოფენა უამრავი ხალხი მიდის და ნახულობს ამ გამოფენას. აქ ნახავთ აუარებელ მოწაფეს, სოფლიდან ჩამოსულ კოლნეურნეებს, პიონერებს.

რა იზიდავს ამდენ ხალხს ამ გაღწერე-საკენ? აი რა: აქ გამოფენილია საქ. საბჭოთა საუკეთესო მხატვრების და მოქანდაკების დიდბრძნი, ფერადოვანი ნახატები და ქვანდაკეები ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ისტორიიდან, ამ რევოლუციური მოძრაობის სულის ჩაქდგმულის, საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საქ. მხატვრებს ამ ნახატებისათვის დიდი მალა მისცა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელის, ანხ. ლავრენტი ბერიას, მოხსენებამ „ამიერკავკასიაში ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხზე“, სადაც ნათლად და ფართოდ დახასიათებული იყო ანხ. სტალინის როლი. ეს მოხსენება იმდენად შინაარსიანი და წარმატები იყო, რომ მან აღაფრთოვანა საბჭოთა მხატვრებიც, რომლებმაც შესანიშნავად დაასურათეს რევოლუციური წარსულის ისტორია, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა და ანხ. სტალინის მოღვაწეობა.

მხატვართა გაღწერის დაბაზში შესვლისთანვე ყურადღებას იპყრობს ანხ. ანხ. სტალინის,



სტალინი - ბავშვითაჟის ტოლ-ამხანაგბითან მხატვარი ვოლგინი



სტალინი გლეხებთან ქართლში

ნ.ბ. გ. კახიძის

ვორაშილოვის, ორჯონიკიძის, კიროვის, კე-  
ცხოველის დიდრონი სურათები. აი თქვენ დგა-  
ხართ მხატვარ ეოლოგინის სურათის წინაშე.  
სურათზე გამოხატულია სტალინი — ბავშვი, ის  
წინ მიუძღვის ტყეში თავის ტოლ-ამხანაგებს. ქა-  
მარში წიგნები აქვს გარკობილი, შორს მოჩანს  
გორის ციხე. სურათზე გამოხატულია ბავ-  
შობაში სტალინისათვის დამახასიათებელი თვის-  
ება — სილაღე, წიგნებისადმი სიყვარული; ის  
სიცილით შიბიჯებს წინ, მასში მოჩანს ხალისი-  
ანობა. სურათი განსაკუთრებულად მოსწონთ  
მოწაფეებს და დიდხანს შესტკვრიან მას.

გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი სურა-  
თი, რომელიც ლამაზი ფერებით თვალწინ გვი-  
შლის მშობლიური ბელიდის სიყვარისა და სი-  
ქაბუკის წლებს. წარმტაცია ამ დიდი ბრძენი  
ადამიანის ცხოვრება, მხატვრების მიერ ასე კარ-  
გად დახატული და გადმოცემული.

აი სურათი: სახლი, სადაც დაიბადა და ცხო-  
ვრობდა აშხ. სტალინი. სახლის უყანა აივანზე  
წიგნით ხელში ზის და მეცადინეობს სტალინი  
ბავშვი.

აქვეა მხატვ. ვ. ჯაფარიძის ნახატი — გორის  
სასულიერო სასწავლებელი, რომელშიაც სწა-  
ვლობდა აშხ. სტალინი“.

მხატვარ ვ. ბაგრატიონს თავის ნახატის თე-  
მად აუღია აშხ. სტალინის სემინარიიდან გამო-  
რიცხვის ამბავი. ამ ნახატს ჰქვია „სოსო ჯუღა-  
შვილის გამოირიცხვა ტფილისის სასულიერო  
სემინარიიდან“. მაგიდასთან სხდნ წითური, სა-  
ძაველი სახის სემინარიის რექტორი და ბორო-  
ტი გამომეტყველების მქონე მღვდელი; მათ წი-  
ნაშე დგას ჰაბუკი სტალინი. ისინი კაცხვენ  
მას, სტალინს თავი ამაყად ლოქრავს, მას ოდნა-  
ვაც არ აშინებს ეს, რადგან იგი რევოლუციური  
მუშაობისათვის უკვე მზადაა.

მუშებთან ფარული მეცადინეობა გამოხა-  
ტულია მხატვარ კოტკოვის სურათზე „პირვე-  
ლი მარქსისტული წრეები ტფილისში 1898 წ.  
აშხ. სტალინის ხელმძღვანელობით“.

წრეებთან ერთად აშხ. სტალინი აწყობს გა-  
ფიცებს და გამოხსლებს. ერთერთი ასეთი დი-  
დი გამოხსლა აშხ. სტალინმა მოაწყო ქ. ბა-  
თომში. მხატვარ ი. ქუთათელაძეს ეს მომენტი  
აქვს აღებული თავის სურათში; ქუჩაზე ამაყად  
შიაბიჯებენ გაფიცული მუშები, მათ რიგებში  
დგას აშხ. სტალინი.

აშხ. სტალინის უშუალო რევოლუციური  
ბრძოლის საკითხზე მრავალი შესანიშნავი სუ-  
რათია გამოფენილი.

აი ამხ. სტალინი თავის თანამებრძოლებთან.  
კარგი ნახატია ამხ. სიღმონ-ერისთავის „კო-  
შეები ახმაურდნენ“, ასეთივეა მხატვარ ა. გიგო-  
ლაშვილის „კრება ზოგივანქის სასაფლაოზე  
1900 წ. სტალინის ხელმძღვანელობით“. მიუ-  
რუებულ სასაფლაოზე თავი მოუყარით მუშებს,  
ისინი უსმენენ სტალინს; ერთი მათგანი დარა-  
ჯად დგას, შორიდან მათ თვალყურს ადევნებს  
ჯაშუში მღვდელი.

ყურადღებას რპყრობს გამოფენაზე ამხ. ვეფ-  
ხეძის სურათი „საშა წულუკიძის დასაფლავება“. საშა წულუკიძე ამხ. სტალინის თანამებრძოლი იყო; მის კუბოსთან, გასვენების დროს, რამდენიმე ათასი კაცის წინაშე მძლავრი სიტყვა წარმოთქვა ამხ. სტალინმა.

ისწავლეთა შორის დიდ ინტერესს იწვევს კომკავშირელი მხატვრის გ. ვამიერაშვილის სურათი „სტალინის გამოქვეყნებული ციმბირიდან“: ბნელ ღამეში თოვლიან მინდორზე მიამბიჯებს ამხ. სტალინი. შორს მოჩანს ჭობის სინათლე, სტალინი მიიჩქარის იქითენ, სადაც მის ელის რევოლუციური მკ. შაობა. ამ სურათის შესახებ 31 სკოლის მოსწავლე გ. ქადაგიშვილი ამბობს:

„მე ძალიან მომეწონა ნახატი, რომელსაც მხატვარი ნიკოი ფერებით თვალწინ გვიშლის წინაშე. სტალინის ციმბირიდან გამოქვეყნების დროს თოვლსა და სიბნელეში“.

ასეთივე შინაარსისა მხატვ. ციმკურიძის ნახატი „ამხ. სტალინის ტფილისში ფარულად ჩამოსვლა“. სტალინი სხვა მგზავრებთან ერთად ჩამოჰყვა მატარებელს, მაგრამ ი. უკვე შეუნიშნავთ შეესათვალეობიან ჯაშუშებს.

ორდენოსანი მხატვრის მოსე თოიძის მიერ გამოფენილია სურათი: „ამხ. სტალინი წყალტუბოში“. სტალინი ზის აივანზე კოლმეურნე გლეხებს შორის, მის გვერდით დგას ორი ბავშვი; ერთი მათგანი ეზამაშება ამხ. სტალინის თითებს. კოლმეურნე ელაპარაკება სტალინს და ხელით აჩვენებს მშენებლობისაკენ. მასვე ეკუთვნის სურათი „ამხ. სოლო ჯულაშვილის გამოსვლა გლეხების დასაცავად“.

ეს სურათები თვალწინ გვიშლის ამ დიდი ადამიანის იმ დიდ ბრძოლებს, რომლის წყალობით ჩვენი ჭკეყანა გახდა ბედნიერი და ჩვენი ნორჩი თაობის ცხოვრება უბედნიერესი და აყვავებული.

## ქოჩოჩა

### ბაბიჯან

— ქორი წიწილებს დაეცა! —  
შექნეს ყვირილი ბავშვებმა...  
კრუხი გამწარდა, მივარდა,  
არ უნდა ქორის გაშვება!

წიწილები კი ფუსფუსით  
გარბიან თითო-ოროლა,  
საბრალო კრუხი კრიახობს,  
წართვეს შვილი ქოჩოჩა.

ქორმა ჩაიგდო წიწილა  
იოლად, ხელათ გადავლით,  
მიუხარია, მიფრინავს,  
მიაქვს საუხმედ ნადავლი.

ყვირილზე ძია დომენტიმ  
თოფი იხელთა მარჯვედა,  
ესროლა ქორს — და ქოჩოჩა  
დაეცა ძიას მარჯვენას.

და მეზობლისას ამბობდნენ:  
— რა უცნაური რამ მოხდა:

დახეთ, პატარა ქოჩოჩა  
პილოტისავით გადმოხტა!

თვალთ დაუბნელდა წიწილას,  
გული საგულეს აეხსნა,  
ბავშვები გარს ეხვევიან,  
აძლევენ წყალს და საკენკსა.

პირს ვერ აკარებს ქოჩოჩა,  
რა დროს ფეტვი და წყალია:  
ქორის ბრტყალებით ნაკაწრი  
გვერდები სტკივა ძალიან.

შინ მიაქვს ძიას ამაყად  
წიწილა ნანადირვევი  
და თავი ისე უქირავს,  
თითქოს მიჰქონდეს ირემი!

გადის დრო... ჩვენი წიწილა  
იზრდება ობლად სხვის კარზე,  
მხოლოდ ქორისგან სახსოვრად  
დარჩა ნიშანი ნისკარტზე...





# ადამიანი, ირემი & მგელი



საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

## ბორის ჩხეიძე

### I

როცა ადამიანს ჯერ რკინა არ აღმოეჩინა, ნამგალს, ცელს და გუთანს არ იცნობდა; მის იარაღს ხელით ხეზე მოტეხილი კეტი, მიწდორში ნაპოვნი ძროხის რქა და კაკის ბასრი ნამტვრევები წარმოადგენდა; მაშინ მწუნე ველ-მინდვრები ირმის ჯოგებს ეკუთვნოდათ.

წყნარად და უღარდელად ატარებდნენ ირმები დროს თავიანთ მიხდვრებზე. განთიადზე ვამოფინებოდნენ საძოვარზე, დამშვიდებულნი ძოვდნენ, იესებდნენ ფერდებს და შუადღისას შეგულეზულ წყაროზე წყლის დასალევად მიდიოდნენ, დაღვედნენ და ისვენებდნენ.

წყაროსთან ისინი ველის მოზიარე ჯვირნებს, ფსიტებსა და შველებს ხედებოდნენ.

ეს შეხვედრა ხშირად ბულრაობად და კიდაობად იქცეოდა. შიში და დარდი არაფრისა იყოდნენ. ნაშუადღევს კი, როცა სიგრილე წამოვიდოდა და დილის მონამოვიც დანაკობრე-

ბული იყო, ერთმანეთს ისევ მშვიდად სცილდებოდნენ და ველში იკარგებოდნენ წელამდე ასულ სათიბებში.

ერთხელაც იყო ირმები ჩვეულებრივად დაძლენ ბალახით და წყაროსთან წყლის დასალევად მოჯოგდნენ. მალაშე წყლათ რომ იჯერეს გული, მახლობელ ოლეების ჩრდილქვეშ ჩაწვეს, დაასლოკინეს და ნაცოხარი ამოიღეს.

ჯოგის სარქალმა ხარ-ირემმა თავისი ლაშაში ყელ-ყური მოიღვრა, — მახლობელ ბეჭობზე შეღვა და მიდამოს თავისი მზრუნველი, მსხვილი და დარაჯი თვალები მოავლო. იმ დღეს ხარ-ირემმა თავისი მეზობლები და მინდვრის მოზიარეები ვერ შენიშნა, არ მოვიდნენ და ეს გაჯრემობა აფიქრებდა და აშინებდა.

ამიტომაც ყურები რომ ცქციტა, მერე ნესტოებიც გახერა და ჰაერი დაეხოსა. აშკარად გრძობდა რაღაც უმედურებას, მაგრამ დიდი ხნის გამოცდილებით იცოდა, რომ მინდორში მოდავე არა ჰყავდა. ფეხზე დგომით რომ დაილალო, ჯოგის შუაგულში შევიდა, აქ ერთ რქადასრულეზულ მოზვერა ირემს ბორჯდი ბორჯდს გამოსდო, ააყენა, გამოიყენა და თავის ადგილს სადარაჯოზე დააყენა, თვითონ კი დასაწოლად ორივე მუხლი მოიყარა და ის იყო გაეაც დასდო, რომ საშინელმა ყმუილმა არემარე დააყრუა. ირმების ჯოგი წამზე დაეშხადა გასაქცევად. ხარირემი ისევ ამოდგა და ამაყად გაჩერდა.

### II

ყმუილი განმეორდა. სმენად და ხედვად გადაქცეულმა ხარირემმა ჩქარა შენიშნა წყაროს ზემოდან ერთი ვეებერთელა, ძაღლის ოდენა ცხოველი. ის ცხოველი, კბილებდაღრქენილი, კისერგაშეშებული და თვალმდამბრალიებული, ოთხპოლებით მორბოდა.

საირმე წყაროს დაეწაფა და წყალს სლაპუნნი დაუწყო. წყურვილი რომ მოიკლა, ერთიკი კი-





დევ შეჰკბულელა, თითქოს მუქართ არემარეს თავხარი უნდა დასცესო.

ხარირეშმა ახლა-ლა გაარჩია უცნობი თავით ბოლომდე: რქების ნიშანიც არ ეტყობოდა. სანაცობრო კბილების მაგივრად ყვირთული ეშვები ჰქონდა და ბეწვსაც ცული სუნი უღიოდა.

სტუმართმოყვარე ირემს ეს სტუმარი არ ესამოიხა და ჯოგს ნიშანი მისცა ველში გასაქცევად, რომ უცნობმა საძაგელბილებიანი ხახა დახურა, ყურები დაყურსა, კული ჩამოუშვა და ისეთი საწყალი და სათნო სახე მიიღო, როგორც ვახუფხულზე მოგებულმა ნუჯრმა.

გულზვიადმა ხარმა შეჰბლავლა:

— ვინა ხარ და რა სულთერი?

— აქაური ვარ, თქვენი ველის მახლობელ ბუჩქნარის მცხოვრები. მგელი მქვია.

ჩაყმულა მგელმა და ახლა სულ შეჰქარყინულივით გადნა და გავგო.

— კეთილი ხარ თუ ბოროტი? — ადექი და თამამადა სთქვი, მიწას რას გაეკარ? — იქნეულად შეჰბლავლა ირემმა. მგელი ნელა წამოძგა და თავი მაღლა ასწია.

— ჩვენ არ ვიცით კეთილი და ბოროტი რაა, ის ვარ, რასაც მხედავთ, — მიუგო მგელმა ხარირემს და ჯოგისაკენ წამოვიდა.

— ვერაფერი პასუხია, მაგრამ მობრძანდით.

მიიპატოე ის ირემმა. თითქოს ჯერ ცხერის ხორცის გემო არც უნახავსო, მგელი პატიოსნად წამოაწვა ჯოგის მახლობლად. დამფრთხალი ირემები ექვის თვალით უყურებდნენ მგელს, ხარირემი კი უშიშრად მივიდა იმასთან ახლოს და იქნეულად განაგრძო ბლაყილი:

— რატომ აქამდე არ ვიცნობდით ერთმანეთს, თუ ჩვენი კეთილისმყოფელი მეზობელი ხარ?

— რატომ და აქამდე მე ჩემი საკუთარი ბუნავი მქონდა, ჩემი საკუთარი სასმელ-საჭმელი, და ახლა კი აღარა მაქვს.

— მერე რატომ, რა უყავი? — გაიკვირვა ირემმა.

— რა ვუყავი და, — განაგრძო მგელმა, — ჩემს არემარეში და საზრდოში ერთი მეტოქე შემომიგვია და ცული დღე დამაყენა. ამ მხეცმა,

რომელსაც ადამიანი ჰქვია, ჩემი სარჩევი გაიტანა. ვიშინაურა. ეს კიდევ ცოტაა. სადაც მსახურს, მკლავს, ტყავს მაძრობს და იმით თავის უბეწვო ტანს იფარავს სიცოცხის დროს.

— ავი მტერი ვავჩენია, მგელო, — დაასვენა ირემმა. — ვაი შენ ჩემო თავო! აქ მოდი, მეზობელო, ერთად ვიცხოვროთ და ვიკებოთ. მინდორი დიდი გვაქვს და ბალახიც უხეად მოგვეპოება.

ეს თქვა ხარირემმა და სახეიმიდ შეჰბლავლა. ჯოგი საძოვრად გაიშალა მინდორში, ხოლო მგელმაც სიხარულის ნიშნად დაიყმულა, ბალახში გაინაჯარდა და მერმე რბილად გადაგორდა, გაახშორა და გაიშხლართა.

— რასა შერები, ძმობილო, ბალახი მოსძოვე და იქიფე! — უთხრა მას ხარირემმა.

— ბალახს ვერ მოვძოვ, ეგ არაა ჩემი საქები.



— მაშ თავი რით გინდა გაიტანო? ჰკითხა ვაკვირებულმა ხარმა.

— თუ პატივსა მცემთ და რძეს მიშოვით, ჩემი საზრდოც ის იქნება, შევხვეწა მას მგელი.

— კეთილი და პატიოსანი, რძის მეტო რა გვაქვს. აი ფურები, მიდი და მოსწოვე, რამდენიც გენებოს. და ხარირემმა რქა ფურზე მიუშვირა. მგელი მივიდა. ფურმა ურქო თავი მიღლა ასწია, ფეხები გააბაჯჯგინა და რძით სავსე ცური მგელს მიუშვირა.

მგელმა ორჯერ მოწოვა რძე, იამა, მაგრამ ხორცის გემომ კბილები აღუკაწაწა და, დრო იხელთა თუ არა, ჩაურქო რბილში, მერე მაგრად დაეძგერა, წამოაქცია, კბილები ყელის ძარღვეებში ჩაურქო და გაგუდა. ფურმა გაფართხალდაც ვერ მოასწრა.

— ეს რა ჰქენი! — შეჰბლავლა ხარირემმა.

— თქვენის სტუმართმოყვარეობით ვისარგებლე, ხორციით რომ ვიცვებები, ეს თქვენც მოგესვენებათ.

— შენც შერბვი და ყოველი შენისთანა სტუმარიც! — მოგვიღიღი! — გაჯავრდა ხარირემი და ჯოგს დაუსტვინა. დაუსტვინა, და ერთ წუთში ირმის ჯოგი თვალს მოეფარა.

მგელს სამ დღეს ეყო ფურის ლეში. მეოთხესა და მეხუთე დღეს იშინაშლია, ახალი ბუნავი მონახა და ისევ ირმის კვალს გამოუღვდა.

ცხრა მინდორსა და მდინარეს იქით ისევ მიავნო ირმის ჯოგს, ცხრაჯერ უფრო მოისაწყულა თავი და ხარირემი კი ველარ მოატყუა. ვერც ამან უშველა ჯოგს. მგელი გადაეკრდა და ყოველდღე ანადგურებდა ირმებს.

შეწუხდა ხარირემი, სარკლი, შეთხელდა ირმის ჯოგი. მოლონიერდა და გასუქდა მგელი. ეს უბედურება მთლად მოსპობას უქადა ჯოგს. მგელს ლევებიც გაუზნდნენ, დედასავით გაუმაძღარნი.

ხარირემმა თავისა და ჯოგის გადარჩენა სკადა და ხერხს მიმართა:

— მგელო, მოვირგდეთ, — შეხეხეწა ირემი მგელს.

— მოვირგდეთ! — უმაღვე დაეთანხმა მგელი.

— დღეში ერთ ნუქის გადაგიხდით და იკმარე, — განაცხადა თავისი პირობა ხარმა. ამაზე მგელმა გაიკინა, არეზარეს თვალი მიავლ-მოავლო, ნახა, რომ მოდავე და ძლიერი არავენა ჰყავდა და პირობის მიღების ან თავისი პირობის წარდგენის მაგიერად გათავებდა.

— ხარირემო, სულელი ხომ არა ხარ? რის პირობა, რა პირობა! როდის იყო, პირობებს რომ ვდებდი ჩემს არეზარეში ვინმესთან? ეს მთაც ჩემია და ის ბარიც, ბალახს შენა სძოვ ჩემს მთასა და ბარში ამოსულს და ხორცის ჭამას მიშლი? ვერა, ვერ მოგვართმევ! თუ შენ იმოდენა ბალახს მიირთმევ, რამდენიც მოგებასიათება, მე რაღად შევიზღუდო ჩემი სურვილები? იმდენ სისხლს დაველე, რამდენიც მინდა, და იმდენ ხორცსა ეჭამ, რამდენიც არ მოწყურნდება!

— ვერა, ძმობილო, ვერა! დაიბაღელა ირემმა და ჯოგს დაუსტვინა. მგელიც ამას უცდიდა, დიდი ხანია სარკლის მოღერებულ ყელზე თვალი და კბილი ეჭირა

და შემთხვევას ეძებდა წაეხარჩო. უცერად ისკუბა, რომ მყერდში სცემოდა, მაგვრებდა. ბორჯლი რქები ძირს დახარა, და მგელი მუცლით ზედ წამოეგო. მგელმა ფეხი აითრია და გაძუნძულდა. „ხროკის დაგახვეთ“ — დამუჭრა ირმებს. ხარი მიხვდა, რასაც ნიშნავდა მგლის ხროვა. ერთი როგორი იყო მგელი, რომ ბევრი რა იქნებოდა!

— ადამიანს მიეცეოდლოთ, ის ცხვარს მფარველობს, ჩვენს ნათესავ ნამცობარას, ჩვენ ხომ ცხვარზე უფრო კეთილშობილები ვართ!

ურჩია ჯოგს და, როგორც ყოველთვის, თავის ჯოგს წინ წაუძღვა იმ გამოქვამულისაყენ, სადაც ადამიანი ცხოვრობდა დათუის ნაბუნავარში.

— წადით, წადით და რაც იქ მოგოთ, მე ნუ გაიყოფთ! შორიდან მიამახა ნეყენმაღლე-წილმა მგელმა ირმებს. მაგრამ მათ არ ესმოდათ, ზურგზე რქებვადანწყობილნი მირობოდნენ ადამიანისაკენ.

### III

ადამიანი ერთი კლდის გამოქვამულში ბინადრობდა. ეს ბინა დათვებისათვის წაერთმია. როცა ირმები შორიდან მიუახლოვდნენ, იმ ადამიანის ბინიდან მყარალი ბოლი ამოდიოდა. ეტყობოდა, ცეცხლი ერთო შიგ; როდესაც ის ცეცხლი ხმელითივან ველებს მოედებოდა, ირმები თავეზადკარგულნი ვარბოდნენ და ხშირად ილუბებოდნენ.

ირმებმა ცხვრის ფარა შენიშნეს მახლობელ სამოვარზე გაფენილი. თავისუფლად ბლაოდნენ და ძოვდნენ. იმათ მახლობლად კი ადამიანი იღვა, ხელში ბატყები აეყვანა და შვილებივით





ეალერსებოდა. ადამიანმა ირმის ჯოგს მია-  
შურა. ხარირეში შხად იყო.

— გვიძმე, მოგვიარე, მგელს ნუ შეაკმევ  
ჩვენ თავს და გემსახურებით! — შევხვეყნა ხარი.

— კარგი და პატოსანი! — გაეხარდა კაცს  
და ძაღლებით, რომლებიც მკლბივით იღრი-  
ნებოდნენ, ირმის ჯოგს ვარს შემოერტყა.

ერთს ახალგაზრდა ხარს რქაში ხელი მოაე-  
ლო, შუბი შიგ მყერდში დასცა და ისე ჩქარა  
დაკლა, რომ მგელი იმასთან სახსენებელიც არ  
იყო.

ჯოგის თვალწინ გაატყავა, ტყავის სისქე მო-  
იწონა, ბეწვი დაიწუნა, რქებით ბინა დაიმშვენა,  
მშვენიერი მწვადები ააგო, და ადამიანების ჯო-  
გმა ეს ხარირეში ერთ საათში შექაბა და მოი-  
ნელა.

— ყოველდღე თითო დაეკლათ და ეკამოთ,  
ეუბნება ერთი ადამიანი მეორეს.

— მოგიშინაუროთ, — ურჩევდა მეორე.

— ირემი ისეთი ცხოველია, რომ არ შინა-  
ურდება! — უმტკიცებდა პირველი.

ხარირემს ეს ესმოდა და განსაცდელს უგრძნობ-  
და. ღამით რამდენიმე გაბედულ ირმიანად სი-

პყრობილის კედელს გადაეველო და ველ-მინდუ-  
რებს მიაშურა.

მას შემდეგ ირემი ერიდება ადამიანსა და  
მგელს, სამაგიეროდ ადამიანიც და მგელიც ღი-  
ლის სიამოვნებით ნადირობენ ბუნების ამ ულა-  
მაზეს და უფლებელ გარეულ ცხოველზე.

ჩქარა ადამიანმა რკინა აღმოაჩინა, ნამგალი,  
ცელი და გუთანის გაიჩინა და ის მინდერები,  
სადაც ირემები ძოვდნენ, მოხნა, მოთიბა და დაი-  
საკუთრა. მგელიც ტყეში გაავლო ადამიანმა  
და ირემიც. ირემს ტყე არ უყვარდა და ახლა  
სულ მოესბო იქ თავის შეფარების იმედი. მგელ-  
თან ახლოს ცხოვრება არ შეიძლებოდა.

ბევრი არჩიეს ირემებმა ვის შეპყვლეობდნენ,  
მაგრამ ევრაიენ მიაგნეს ისეთი, რომელიც მათ  
იმოხბდა.

და თავისუფლად დარჩენა ამჯობინეს. ძვი-  
რად დაუჯდათ ირემებს თავისუფლება. გაწყდენ,  
მოისპვენ. ახლა იმათ ძლიეს აგნებენ აჭა-იქ, და  
რომ ისევე ადამიანს არ აეკრძალა იმათზე ნადი-  
რობა და ისევე ადამიანს არ აელაგმა მგელი,  
ხლა ირემები ქვეყნად აღარც კი იჩნებოდნენ.



# ჩვენს ქუჩა

## გიორგი კახანიძე

მოველ, ვნახე, მეუცხოვა  
ჩვენი ფართო, სწორი ქუჩა,  
მის ყმაწვილურ სიღამაზეს  
მტვერში თვალი დაუხუტავს<sup>1)</sup>.  
ახლა ბევრი მოსეირნე  
აქ გამოვლას დაიზარებს:  
ქვა და ქვიშა, მიწის გროვა  
ვერ მოხიბლავს მორთულ მგზავრებს.

აუყრიათ ქვაფენილი,  
ლიანდაგიც აუყრიათ.  
მტვერი აღის მაღლა, მაღლა,  
და ხეები ტოტებს ხრიან.  
ფზიზელია ქუჩა მაინც,  
ცხელი ოფლი რწყავს და ღვივის.  
თუ ეწვევი, ვამება,  
დაგანახებებს მუშის ღიმლის.

<sup>1)</sup> ტფილისი სახეს იცვლის. ამჟამად დიდი მუშა-  
ობა წარმოებს პლენაროვის პროსპექტზე: ტრამვაის  
ხაზი აყარეს, ტრამვაის ნაცვლად ტროლეიბუსი  
ივლის.

გამრჯე ხალხი ღონეს ხარჯავს,  
 აწესრიგებს შრომას ძია...  
 აწი აქ ვერ გავიგონებთ  
 ტრამეაების ხმას და წკრიალს.  
 ძილს საამოს ვერ დამიფრთხობს  
 გვიან ღამით გავლა მათი.  
 ურჩნი იყვნენ, მაჯავრებდნენ,  
 არ ჰქონიათ ჩემი ხათრი.  
 მაგრამ ქუჩა, ჩვენი ქუჩა,  
 რომ ხიზლავედა ქალაქს ეწიით,  
 დღით და ღამით განა დიდხანს  
 იგორავებს ასე მტვერში?!

— არა, არა! — ყველა ამბობს, რაც კეთდება ყველამ იცის!  
 იცით, ხალხის სიკეთისთვის  
 მორთულობას ქუჩა იცვლის.  
 იგი, მუდამ მზიარული,  
 სილამაზეს იძენს ახალს:  
 ავტოს გვერდით აქ ასფალტზე  
 ტროლეიბუსს მალე ვნახავთ.  
 გულს და ყურს არ შეაწუხებს  
 მისი გავლა, წყნარი სუნთქვა,  
 და ექნება ხალხს მიმოსვლა  
 უფრო კარგი, უფრო სუფთა.



**იხანე მახავარიანი**

(დასასრული 1)

- როდის ათავენთ ათ კლასს?
- სამი წლის შემდეგ.
- მერე?
- მერე? აგრონომია! დავტრიალდები სოფელში და სულ ბანანებით და ღუშესით ავაგნებთ აქაურობას. გავაწყობ აბილაურის და ხეჭუჭურის ხსენებას!
- ყოჩაღ, ბიჭო! მოდი — ვერა ვარ გუნებაზე, ერთი ი სიმღერა გამავკონე. ძალიან გიქვს ბიჭებმა.
- ეხლა არა.
- რატომ?
- გუნებაზე არა ვარ.
- შენ რაღა დაკვიპართა?
- შენგან დამეშართა.
- სახალი ხომ არ არის, ბიჭო!
- სახადივით ვადამდებია, სახადზე უარესია.
- მაშ ყველას შეგყვრება?
- ყველას არა...
- მაშ?
- მარტო იმას, ვისაც უყვარხარ,

- ამას ხედავთ! რაც მართალია, მართალია, თებრო, — გასძახა თავის მუელღეს, — გეყურება? აღარ დამენახვო დაღვრემილი, თორემ... არა, რომელ ერთს ვაუძლოს კაცმა, თავის საქმეს თუ თებროს ბუზღუნს?
- სიცილით გამოვებოვენ ერთმანეთს.
- სუფრა გაშლილი დახვდათ, შინ რომ მივიდნენ.
- აბა, დასხედით, შეიღებო, — მიმართა დიდიმ. თავის მამის დიდუდას დიდის ეძახდა ქუცნა. პირჯვარი გადასწვრა დიდიმ სუფრას, დაჯდა და ჩვეულებებისმებრ წარმოთქვა:
- ზარბაზანი გავარდაო, ჯამში ლუქმა ჩავარდაო!
- სუფრაზე ისე არ დასხდებოდნენ, რომ ეს სიტყვები არ ეთქვა დიდის. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას ქუცნა, და დღეს კი მოხვდა. შიგ გულში კი არა, სხვაგან სადღაც. რაღაც ჩარჩნოდა გამოუკვლეველ ამოცანად; მის შეუწინვლად წარმოებდა ფარული კვლევა-ძიება ამოცანისა, საქირო მასლის მოგროვება, და

1) დასაწყისი იხ. ვერ. „ოკტ.“ № 8-9



სწორედ ამ ამოცანის მასალად მიიღო მისმა შეგნებამ დიდის ნათქვამი და ბიძგი წაპკრა:

— ჰკითხე, რასა ნიშნავს ეგ სიტყვებიო?  
— დიდი, რად იტყვი ხოლმე, — ზარბაზანი გაეგრძალო, ჯამში ლუქმა ჩავარდაო?  
ანდაზა არის უბრალო, თუ მნიშვნელობა აქვს რამე?

— როგორ არა, შეილო, მნიშვნელობა აქვს. პატარაობისა, ქალაქში ჩამიყვანა ბატონმა და შეუადლისის ზარბაზანი გაეგრძელებოდა ხოლმე ყველდღე. მაშინ საათი ბევრს არავის ჰქონდა და ზარბაზნის სროლით აცნობებდნენ ხალხს შეუადღეს.

თავისებურად მზიარულად აღარ იყო იმ დღეს ქუცნა. ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა. ჩაფიქრებული იყო, აღარც სვირნობა აგონდებოდა, აღარც ამხანაგები.

ღამე არც კი სძინებია. იწვა თვალდახუჭული და ყურს უგდებდა თავის აზროვნებას.

ეტყობოდა, ხელთ იგდო თავისი ფიქრებიც, ამოცანის პასუხიც, რომ დილით ძალიან მზიარულად წამოვიარდა ლოგინიდან.

შეპკრიბა ამხანაგები და მამას გამოუტახადა — ირემისთან მიედიეართო.

ზურსაც უნდოდა ირემის ნახვა, რომ გამოსთხოვებოდა, და ერთად წაიდივნენ.

— ჰა, ქუცნა, როგორ გუნებებზედა ხარ დღეს? — შევიკითხა ირემა.

— ძალიან კარგზე!  
იქნება მეც ვაღპომედოს.

— აი ვნახათ. ერთი ეს მითხარ, ირემა, გერმანიაში ხომ საათი აქეთ სოფლებში...

— შენ ისევე იქა ხარ?  
— მთელი ღამე იქ ვიყავი, იმ საათებთან.

— რა ვინდოდა, ბიჭო?  
— საათი მიწოდდა.

— მე კი არ მიწადა, მიგრამ ვინ მომაქვამებს?  
— ეხლავე, ეხლავე! ეს მითხარი, ამხანაგო, ის საათი რეკავს ძალიან აღრე, რომ ცხრა მთას იქით ისმის?

— საათი კი არა, საათის ზარი. დიდი საათის ზარი. დიდი საათი არის სამრეკლოზე ან სკოლის შადლი შენობის ბანზე. შეგხედავ — ციფრებიც უზის, ისარც იძვრის. იძვრის და დაპკრავს.

— რა დაპკრავს?

— ჰა?  
— თითონ საათი დაპკრავს თუ ზარი?

— ჰოო!  
— განა არ შეიძლება საათის მაგივრად ზარი დავრეკოთ?

— ბიჭო, ბიჭო!  
— განა იქ კი ვერ გავაყვებთ მაგისთანა საათს?

— მერე, სად იშოვი ამოდენას?

— არც იმოდენა საათი გვინდა, არც დიდი ისარი. ჯერჯერობით შარტო. ზარიც გვეყოფა, რომ სოფელს შეუადღე ვაცნობოთ, მუშაობის ან სწავლის დაწყება, მუშაობის გათავება და სხვა.

პირლია შეპკურებდა ირემა, მერე წამოვიარდა გახარებული და თავში იკრა ხელი: — შენც იტყვი ტყინითა ვარ სვესო! დიკვანო, ჩქარა დურგალი!

— მე დიკვანი არა ვარ!

— დიკვანიცა ხარ და არქიელიც, თუ არ დავიშლია! ურემი და ორი კაი ბიჭი. აქ კი ჩვენი დურგალი!

— რად გინდა, რაღა?

— ზარი ჩამოხსნან სამრეკლოდან და აქ მოიტანონ. დურგალი მაღლა ბანზე ჩარჩო მოაწყოს საათის დასაკიდებლად.

— ზარის დასაკიდებლად!

— ზარსაათი იყოს, ახლი?

— და განა იქ კი ვერ დავრეკავთ, აქ რომ არ წამოვათრიოთ? — არ იშლიდა სოფრონი.

— რატომ არა, თუ კი გვხალისება იმნიშორებზე სიარული. მერე ვინ იცის, დღეში რამდენჯერ დავკირდებ საათის დარეკვა..

— მე რა შეუაში ვარ?

— შენა, მამე? უბის საათი შენა გაქვს და მესაათე შენ უნდა იყო. საათიც აქ იქნება და შესაათეც, რადგან ბინაც აქა გაქვს.

— ახლა შეუალმისას ამაყენეთ!

— შეუალამე იქნება არც კი დავკვირდეს და თუ დავკვირდა, იმისთანა „მაღვიძარს“ გიყიდი, რომ აღარც კი დავაძინროს.

— ახლა რა, ოცდაათჯერ უნდა მავრევიოთ თქვენი საათი? — ჩიოდა სოფრონი.

— აკი გითხარ: შეუალმისა არ დავკვირდება, ვაღვიძებინა — ხუთი. მუშაობის დაწყების — შეიდი, სადილობის თორმეტი, მუშაობის დაწყების



ყებისა ორი, და სიღამოს, დღის დაბოლოვებში — ცხრა. ხუთჯერ დარეკავ, ჩემო სოფრონ.

— არა, ამხანავო, — უთხრა ზურამ, — იუ საათი გინდა, საათი უნდა იყოს. ღამე კიდევ ჰყო, დამითმია, მაგრამ დღე კი, დღის ოთხი საათიდან ზაფხულში ღამის ცხრამდე, უკლებლივ უნდა იცოდეს სოფელმა, როდის რომელი საათია.

— მართალი ხარ, ზურა, მართალი! — დაეთანხმა ირემა.

— მაშ ხალხსა ვეკითხოთ, თუ ზურა მართალია, იქნება მაგდენი არც კი ინდომონ, — თქვა სოფრონმა.

— ვეკითხოთ, მაშ! როდის რა დაგვიდგენია ამხანავების დაუკითხავად, რომ ეხლა დავადგინოთ?

— ასე კარგად ჩემს დღეში არცაღა ვყოფილვარ! — იძახდა ირემა — ამან მომარჩინა, ჩვენმა ქუცნამ!

ზარის მოსატანად ურემი წავიდა. დურგალი ბოძების რანდვას შეუდგა. კოლმეურნეობის, ბატონისეულ ორსართულიან სახლის ბანზე აპირებდნენ ზარსათის გამართვას.

— თებრო! აღამიანო, ნუ ხარ მეთქი აგრე დაღერემილი, არ გეყურება?

— მერე, შენგან არა ვარ ასე?

— ჰოდა, ხომ ხედავ, კარგადა ვარ! აკი ვამბობ, ასე კარგად ჩემს დღეში არა ვყოფილვარ! მოდი, ჩემო თებრო. ერთი ხელიდა დვინო შემოგვაწიე. ჩემი ექიმის საღვთაქმელი უნდა დავლიოთ.

— ვინ ექიმისა, რა ექნა?

— აი, ამ სოლომონ ბრძენისა, ჩენი ქუცნასი. იქვე დერეფანში დასხდნენ, ადღევრქელეს

ხალხის ერთგული შვილი სტალინი, ადღევრქელეს ქუცნა.

— არც ეხლა იმღერებ, ბიჭო?

— აი, გუნებაზე ეხლა ვარ, — უპასუხა ქუცნამ. — აბა, ბიჭებო, ბანი! — და დასძახა:

სტალინს ვენაცვალეში,  
ამიხილა თვალებო,  
ბნელს სინათლე მოჰჭვინა,  
მოსპო ავი ძაღვები.

სტალინს ვენაცვალეში,  
გლები რომ ვებრალეში:  
უცხად ჩამომაშორა  
ბატონები და მღვდლები.

აკი ხანი გავიდა მას შემდეგ, და დღეს ველარ იცნობთ ჩვენს სოფელს: ათკლასიანი სკოლა აქვს. ბიბლიოთეკა და კარგი სამკითხველო, კინოთეატრი, ყოველგვარი სამეურნეო მანქანა, დიდი საშსართულიანი სასახლე ძველი ეკლესიის აღიგას და ზედ დიდი ციფერბლატიანი საათი; საკუთარი ექიმი ჰყავს, აუთიაქი, სხავეშო ბაღი, საკუთარი აგრონომი, ჩენი ქუცნა, და ახლა ელექტრობის გამოყვანას ცდილობს.

კოლმეურნეობაში ნელნელა უკლებლივ შევიდა მთელი სოფელი, რადგან დარწმუნდა ყველა, რომ ცალკე შრომას კოლექტიური შრომა სჯობია სიადვილითაც და გამოსავლიანობითაც.

კოლმეურნეობას ირემა გინაგებს და სოფელში დაბრუნებული ზურა. დაუღალავად მუშაობს ორივე, თავდაიწყებით, და სახელგანთქმულნი არიან თავისი პატიოსნებით და უანგარობით.

ხალხაც გამოიკვალა: ცხოვრების უზრუნველყოფამ მტრობა ძმობად გარდაქმნა და შური სიყვარულად.

# გუგა წითელაჩივლაშვილი

სანდრო ჟღერძი

გრილა ისევ, ცა ლურჯია  
და ლაქვარდიც ბრწყინავს იმ დროს,  
მზის სხივები თავს ევლებს  
პეპელებს და მწვანე მინდორს.

დილის ხმაურს უერთდება  
არმიელთა ტკბილი მღერა,  
მიდიან და გზას მიჰყვება  
მათთან ერთად „ვაშა რერა“...

გურაც ჭიშკარს გადმოველო  
და სიჩქარით მათკენ მორბის,  
როგორც მუდამ, ისე დღესაც  
მხარს უმშვენებს ფიცრის თოფი.

დილა არის, და სიკაცხლე  
ფეინება ირგვლივ სივრცეს,  
ბალახებზე ცვარი ბრწყინავს,  
მზე თანდათან მალლა იწვეს.

ხედავს გურა: შორს მინდორში  
თეთრი რალაც დადგეს ნიშნად,

თან ნაბიჯით გადაზომეს  
სისწორე და სროლის მიჯნა.

ერთი, ორი... ტყვია ტყვიას  
მისდევს სწრაფად, გაჩნდა ცეცხლი..  
მზის სხივებზე აელვარდა  
თოფის ლულა, როგორც ვერცხლი..

გურაც სწრაფად იღებს სასროლს,  
ნიშანს ჰკრეტს და თვალით მართავს,  
მან რა იცის, არმიელებს  
თუ აცინებს იგი მართლა.

გურას უთხრეს: „ჩემო კარგო,  
შენი თოფი ტყვიას ფანტავს“  
და დარწმუნდა, როცა ნახა:  
მონახვედრი არსად ჩანდა.

რა უნდა ჰქნას, დარცხვენილმა  
მოიბრუნა უკან პირი,  
თოფი გვერდზე გადაადლო  
და ზღუქუნით მოჰყვა ტირილს.

## სიასაშუკი და მისი საშობოღო

გიორგი კალანდაძე

გასაოცარ საიდუმლოებათა ბუდეა  
ციმბირის ვრცელი ტაიგა, გასაოცარი  
ცხოველები დაძრწიან თოვლით დაფარულ  
მის გულმკერდზე. იქ ბუნება მკაცრია,  
სუსხიანი. ჩრდილოეთის ქარი  
მიწის ზედაპირიდან ხვეტს და ჰაერში  
აწიაწებს თოვლის მტვერს. ჩრდილოეთის  
ძვალგამტეხი ქარი ხშირად დედამიწის  
რელიეფის ფორმას ცვლის: სხვადასხვა  
ადგილიდან მონაბერ თოვლის მტვერს  
ერთად აგროვებს და ასე ქმნის ცრუ გორაკებს  
ან ავსებს ჩაღრმავებულ ადგილებს. ტაიგის  
მოზინადრენი ამას „ნაბუქს“ ეძახიან.  
ხშირად ყოფილა ასეთი შემთხვევა:  
მონადირენი ნადირს ასდევნებთან, დამფრთხალი  
ნადირი ასეთ ნაბუქში გადავარდნილა.  
მონადირეებს ვერ შეუნიშნავთ

მოსალოდნელი საშიშროება, ამდგარი ნისლის  
გამო ნადირს კვალდაკვალ მიჰყოლიან,  
უძირო თოვლის მტვერში გადაცვენნილან  
და დაღუპულან. შემდეგ მოსულა სხვა წყება  
მონადირეთა და ამ ადგილას უპოვნიათ  
თხილამურები და სანადირო იარაღები.  
ნაბუქი კი გამქრალა. მონადირენიც  
გამქრალან: ვინ იცის,







რა ცხოველმა დაგლიჯა მათი გაყინული სხეული. ციმბირის თვალუწვდენელი ტაიგა მთელს ქვეყანაზე ერთადერთი სამშობლოა პატარა, შავბეწვიანი ძვირფასი ცხოველისა. ამ ცხოველს სიასამურს ეძახიან, მის ბეწვს კი „ფაფუკოქროს“. „ფაფუკი ოქროს“ დიდი ხანია იზიდავს ადამიანს. ყველაზე კარგი ბეწვი შიკალის მახლობლად, ბარგუზინის მაღალ მთებში მოპინადრე სიასამურს აქვს. ერთი მწერალი საინტერესო ამბავს გვიამბობს ამ პატარა მტაცებელი ცხოველის შესახებ. ძველად აქაურ ადამიანებს არ ცოდნიათ სიასამურზე ნადირობის დრო. ნადირობა სხვა ცხოველებზე ზამთრის თვეებში იწყება, სიასამური კი სწორედ ამ დროს იწყებს გამარავლებას და ხის ფულუროდან გარეთ იშვიათად თუ გამოვა. როგორ გაიგო ეს ადამიანი?

ზამთარში მონადირეს ხაფანგი დაუგია სიასამურისათვის, მაგრამ სიასამური არა თუ ხაფანგში გაბმულა, კვალიც გამკრალა მისი. მახლობელ გორაკზე ხავსით დაფარული, ნამეხარი, ფულუროიანი ხე მდგარა. ეს ხის ბუნებრივი კოშკი ჰქონია ბინად არჩეული ციმბირის დიდ

ქოტს. სიასამურზე იმედგაცრუებულ მონადირეს ხის გვერდით გაუვლია და ქოტი შეუნიშნავს. უსვრია ტყვია და ფრთა მოუტეხია. ფრინველი ხის ფულუროში ჩავარდნილა. მონადირე ჩასულა ხის ფულუროში და ქოტთან ერთად ცხრა პატარა სიასამური უნახავს დედასთან მწოლიარე.

სიასამური კატაზე უფრო პატარაა, მაგრამ სიშინელი მტაცებელია. როცა ბუნავიდან გამოძვრება. თვალებს აცეცებს და საკბილო ცხოველებს უდარაჯებს. ყველაზე უფრო ყარყუმს ემტერება. დაინახავს და გამოუდგება, ყარყუმი ეშმაკი ცხოველია: გაირბენს მცირე მანძილს და წინასწარ გაკეთებულ თოვლის ხვრელში ჩაძვრება, კოტა ხნის შემდეგ ისევ ამოხტება და გარბის. სიასამური მისდევს, მანამ ან არ დაიჭერს, ან და საკბილო თვალთავან არ მიემალება. ახლა სიასამურზე სანადიროდ ტაიგის ბინადარი გზააბნეულად და უშედეგოდ აღარ დაძრწიან. სიასამურს იჭერენ და ძვირფასბეწვიან ცხოველთა ფერმებში ამრავლებენ. მოსკოვის ზოოპარკსაც ბევრი ჰყავს ეს პატარა ცხოველები.

## რა პაჩხია შემოღომა!

ა ნ რ ო ო ნ ე ლ ი

რამ მოქარგა ნაირ ფერით  
გუშინდელი მწვანე ბალი!  
აქით ქარვა, იქით ლალი,  
სასიამო დასახანი!  
უმზერს, მაგრამ მათი მზერით  
ვერა ძღება კაცის თვალი!  
ვინ დაჰკადა ტოტებს გაშლილს  
ამოდენა მსხალი, ვაშლი?  
ვინ დაჩითა, ვინ შეღება?  
რა საამო სუნი ახლავს!  
დაბლით ხელი ვერ ეხება,  
ამიყვანა ნეტავ მალა!  
ამ ბიამ ხომ საღერღელი,  
გვირკაეთ, სულმთლად ამიშალა,  
მორს ფოთლებში მიმალულა  
და მორცხულად სახეს მალავს.  
ვერც კოლოკი მისროლია,  
ჯერ არ მყოფნის მკლავის ძალა...  
ხელ შევიღე? არა, დედამ

ეს სასტიკად ამიკრძალა.  
რა ვქნა! ვუცდი, ვუცდი, ვუცდი —  
დაუბეროს ეგებ ქარმა,  
ეგებ ქარმა გულის დარდი  
მე სიამით გამიქარვოს.  
მაგრამ ქარი არსად არი,  
ტოტზე ბია თვალებს ნაბავს,  
ვინ გაიგებს მე და ბიის  
საოცრებით სავსე ამბავს.  
მივაშურე ისევ ვენახს,  
მივესალმე ვაზს და მტევანს,  
სინარულით გული მკერდში  
მღერის და შიგ ვერ ეტევა.  
რა კარგია შემოდგომა,  
ყველა დროზე უფრო კარგი:  
აქით ქარვა, იქით ლალი  
ნაირფერით მონაქარგი,  
უმზერს, მაგრამ მათი მზერით  
ვერა ძღება კაცის თვალი!

# ქ ე რ ვ ე რ ნ ი

კლ. თეგზაძე

საფრანგეთის გამორჩენილი და ბავშვების საყვარელი მწერალი ქულ ვერნი დაიბადა 1828 წელს ნანტში (საფრანგეთში).

ქულ ვერნს ძლიერ უყვარდა ზღვა და ხშირად მოგზაურობდა იალქნიანი ნავით მდინარე ლუარაზე. გიმნაზიაში ყოფნის დროს იგი ბევრს კითხულობდა. წიგნები და ბუნება—აი რა იზიდავდა მას. ამასთან ერთად მას უყვარდა თეატრიც, რის გამოც დაწერა ერთმოქმედებიანი კომედია ლექსად „ჩაგლეჯილი ნამჯები“.

ქ. ვერნი გატაცებული იყო ფრენის საკითხებით და ამის შესახებ დაწერა მოთხრობა „დედამიწიდან მთვარემდის“ და „ხუთი კვირა აეროსტატზე“.

ქულ ვერნის სახელი ქვეყნად გაითქვა. მოკლე დროის განმავლობაში გადაითარგმნა მისი მოთხრობები თითქმის ყველა ენაზე. ქ. ვერნი დააჯილდოვეს. ის თავისთვის ცხოვრობდა და თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა. მას ჰქონდა გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო შინაარსის უამრავი წიგნი, კედლებზე ეკიდა შესანიშნავ მკვლევართა პორტრეტები, დიდ მაგიდაზე ელაგა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერული თხზულებანი და მოგზაურობანი. ბიბლიოთეკის გვერდით სამუშაო კაბინეტი იყო და მაგიდაზე ელაგა მისი ხელნაწერები. როცა არ ვმუშაობ, მაშინ არც ვვრძნობ, რომ ვცხოვრობო, — იტყოდა ხოლმე დიდი მწერალი. დაუხარებელ და გამუდმებულ მუშაობის გამო ქულ ვერნს ჯერ მარცხენა თვალი დაუდგა, ხოლო მერე მარჯვენაც: მიუხედავად ამისა, წერას მაინც განაგრძობდა.

მას ჩვეულებად ჰქონდა ადრე დაწოლა და ადრე აღგომა; იმ დღეების გამოკლებით, როცა ის თეატრში მიდიოდა, უკვე 8 საათზე წებოდა, მაგრამ ყოველთვის გათენებამდის დგებოდა, ჩაუჯდ-

ბოდა სამუშაოს და საუზმემდის კიდევ მოასწრებდა რამდენიმე გვერდის დაწერას. სადილის შემდეგ მიდიოდა სამკითხველოში და კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებსა და მეცნიერულ წიგნებს.



ქულ ვერნი

ქულ ვერნის ოთახის კედლებს დედამიწის დიდი რუკა ამშვენებდა, რომელზედაც მიუთითებდა მეგობრებს და უწვენებდა თავისი გმირების მოქმედების გზა-კვალს.

გარდა ამისა, იგი მოგზაურობდა კიდევ. იგი იყო სკანდინავიაში და იქ მიღებული შთაბეჭდილებებით დაწერა „მწვანე სხივი“ და „ლატარიის ბილეით“. იყო აგრეთვე ამერიკაშიც, რომლის შთაბეჭდილებანი მოგვცა მოთხრობაში: „მცურავი ქალაქი“. ქულ ვერნს საკუთარი პატარა გემი ჰქონდა და სადაც მოესურვებოდა, იქით გაკრავდა ხოლმე.

ბოლო ხანებში ქულ ვერნი ავადმყოფობამ დაიმორჩილა, ხალხში სრულიად არ გამოდიოდა და კარჩაკეტილად ცხოვრობდა. 1905 წლის 8 თებერვალს ქულ ვერნი ზეიმობდა თავისი დაბადების 77

წლის თავს, ხუთი კვირის შემდეგ კი გარდაიცვალა.

ჟულ ვერნი უამრავ წერილს ღებულა-ბდა ახალგაზრდა მკითხველთაგან და დიდადაც აფასებდა მათ.

სიკვდილის წინა ხანებში ინგლისელი ვაჟების ერთმა ჯგუფმა ოქროსთავიანი ჯოხი გაუზახა, ჯოხის მთელი ტანი ატრელებული იყო მწერლის ნიკის თაყვანისმცემელთა უამრავი სახელით. ამ იშვიათ საჩუქარს ასეთი წარწერა ამწვენიბდა: „ჩვენ ძლიერ ბედნიერები ვართ, რომ შეგვიძლია გამოვიგზავნიოთ ეს ჯოხი წარწერებით, რომელიც დაგიმტკიცებთ, თუ რაგვარი პატივისცემით სარგებლობთ მრავალი ათასი ახალგაზრდა ყმაწვილის გულში“.

ვის არ აუტოკებს გულს ჟულ ვერნის „კაპიტან გრანტის ბავშვები“! თხრობის იშვიათი კილო, ამბის სხარტი და მწყობრი გადმოცემა პირდაპირ აოცებს ადამიანს. დამარცხებული მეზღვაური გრანტი ბოთლს გადაისვრის ზღვაში, მოშვე-

ლებას ითხოვს. ბოთლს იპოვნინა. და ეძებენ გრანტს, რომელიც უკანასკნელ თავში გამოჩნდება, მანამდის კი მკითხველიც და რომანის მოქმედი პირნიც დეამიწის ირგვლივ მოგზაურობენ და უამრავ დაბრკოლებასაც გადალახავენ. კითხულობ ამ წიგნს და არ იღლები, თანდათან გიტაცებს ამბები.

გრანტის ბავშვი რობერტი, მიუხედავად იმისა, რომ 12 წლისაა, უშიშარი გმირია და მზადაა თავგანწირვისათვის. ასეთივეა რობერტის და შერიც.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ღროისათვისაც ჟულ ვერნის შემოქმედებას, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ „მოსფილმის“ კინოფაბრიკის ექსპედიციამ გადაიღო კინოსურათი „კაპიტან გრანტის შვილების“ — მიხედვით; კინოსურათის მთავარი გმირის რობერტ გრანტის როლს თამაშობს მოსკოვის მე-27-ე სკოლის მოწაფე პიონერი იაშა სეგელი. ფილმის გადაღება დამთავრებულია და უკვე ვნახეთ ჟულ ვერნის გმირები ეკრანზე.



### ჟულ ვერნიდან

პორიზონტზე უკვე გამოიკვეთა კუნძულ არანის მოხაზულობა, როცა გემ „დუნკანის“ მეზღვაურმა შენიშნა ვეება თევზი, რომელიც კვალდაკვალ მოსდევდა იალქანს. ეს ამბავი მაშინვე მოახსენეს გემის პატრონს ელჟარდ გლენარვანს, და ისიც თავისი ბიძაშვილის მაკნაბსის თანხლებით ავიდა გემის გარსახელებ.

- რა ცხოველია? — ჰკითხა გლენარვანმა კაპიტან ჯონ მანგლსს.
- რა მოგახსენოთ, ვეიქრობ, ეს არის ზვიგენის უმშვენიერესი ნიმუში, — უპასუხა კაპიტანმა.
- ზვიგენი ამ ადგილებში! — წამოიძახა გლენარვანმა.
- შეუძლებელი არა არის რა, — მიუგო

კაპიტანმა. — ეს თევზი მიეკუთვნება ზვიგენის იმ ჯიშს, რომელიც ყოველ ზღვაში შეგხვდებით და ყველა განიხებ. ეს თევზ-ჩაქუჩაა. თქვენ თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ჩვენ ახლავე გავიგებთ, რაშია საქმე.

— თქვენ კი რაღას ფიქრობთ ამის შესახებ, მაკ-ნაბს? — მიმართა ახლა გლენარვანმა მაიორს.

— გნებავთ ვცადოთ ბედი?

— მე წინასწარ თანახმა ვარ, — წყნარად უპასუხა მაიორმა.

— ვარდა მაგისა, — განაგრძობდა ჯონ მანგლსი, — საჭიროა საერთოდ მოვსპოთ ეს უმსგავსონი. ვისარგებლოთ შემთხვევით და სიამოვნებასთან ერთად სასარგებლო საქმეც ვაუწყეთოთ. — გლენარვანი დაეთანხმა ჯონს, გადაწყვიტა თევზის დაჭერა. თევზაობა ძლიერ მოსწონდა ელენეს, და გლენარვანმა თავისი ცოლიც მიიწვია ამ სანახაობაზე.

დიდებული ზღვა იყო, მის ზედაპირზე ადილიად შენიშნავდით ზვიგენების სწრაფ მოძრაობას. ჯონ მანგლსმა გასცა საჭირო განკარგულება. მეზღვაურებმა მარჯვენა ნაპირიდან ზღვაში გადაისროლეს ვეება ანკესი, რომელზედაც ლორის ქონის დიდი ნაქერი იყო წამოკმული. მიუხედავად იმისა, რომ ზვიგენი მსმეტრის მოშორებით იყო ანკესიდან, იმან ალღო აუღო ქონს და თანდათან მიისწრაფოდა იალქანისაკენ. რამდენადაც უახლოვდებოდა თევზ-ჩაქუჩა გემს, იმდენად გარკვევით ჩანდა მისი დიდრონი, გადმოკაკლული თვალები, ხოლო მისი გაღებული პირი აჩენდა მკვირვად ჩასმულ კბილებს. თავი ვანიერი ჰქონდა და სხეულს ამთავრებდა სწორედ ისე, როგორადაც ორთავიანი ჩაქუჩი ბოლოვდება სახელურით. ჯონ მანგლსი არ შემცდარა. ეს იყო ნამდვილად ზვიგენთა ოჯახის წარმომადგენელი, ეგრეთწოდებული თევზ-ჩაქუჩა.

მეზავრები და „დუნკანის“ მეზღვაურები გამალეებით ადევნებდნენ თვალყურს ზვიგენის ყოველ მოძრაობას. მალე მისრი-

აღდა იგი ანკესთან. უფრო მოხერხებულად რომ დაეჭირა ქონი, თევზ-ჩაქუჩაზე გადაბრუნდა და ლორის ქონს წაქერი იგდო ვეება პირში. მეზღვაურებმა დაიწყეს ანკესზე წამოკმული თევზის ამოზიდვა. თევზმა იგრძნო, რომ ამორებდნენ მშობლიურ ადგილს და უძალიანდებოდა, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე წუთში თევზ-ჩაქუჩა ცოცხალ-მკვდარი დააგდეს გემის იატაკზე.

ერთი მეზღვაურთაგანი სწრაფად, მაგრამ ფრთხილად მივიდა მასთან და ცულის დარტყმით მოსწყვიტა უხარმახარი ბოლო.

თევზის დაჭერა დასრულდა. მეზღვაურთა შურისძიება თევზ-ჩაქუჩას მიმართ უკვე დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობა ჯერ კიდევ მაინც ძლიერი იყო. გემზე ჩვეულებად აქვთ: დიდის დაკვირვებით უნდა გასინჯონ დაჭერილი ზვიგენის კუჭი. მეზღვაურებმა იციან მისი გაუმამძრობის ამბავი და ყოველთვის იმედი აქვთ, რომ რაღაც თავისებურ რასმეს უპოვნინ თევზს. ზოგჯერ მეზღვაურებს მოლოდინი უმართლებათ კიდევ.



გლენარვანის ცოლმა არ მოისურვა დასწრებოდა ამ ამბავს და კაიუტაში ჩავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა. ზვიგენი ჯერ კიდევ ღრმად სუნთქავდა. იგი სიგრძით სამი მეტრი იყო და მეთხედ ტონას იწონიდა.

ეს სიდიდე და წონა არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ რასმეს, მაგრამ თევზ-ჩაქუჩა თუ თავისიანებში არ ითვლება დიდ რამედ, ის ყოველ შემთხვევაში უსაშინელეს ზვიგენებს ეკუთვნის.

ეს ვეება თევზი ცულის რამდენიმე დარტყმით შუაზე გაფატრეს, კრილობა კუჭამდის დაიყვანეს. თევზს კუჭი ცარიელი აღმოაჩნდა. ალბათ დიდი ხანია, რაც არაფერი უჭამიაო, — და იმედგაცრუებული მებღვაურები მოემზადნენ თევზ-ჩაქუნას ზღვაში გადასადგებად, რომ მიმოსვლის კომანდირის ყურადღება მიიპყრო უხეშმა საგანმა, რომელიც კუჭის ერთ ნაოქში ღრმად დამჯდარიყო.

ეს იყო ბოთლი, რომელიც ზვიგენს გადაეყლაპა. ყველა განცვიფრებამ შეიპყრო ზოგმა ხუმრობით თევზ-ჩაქუნას ლოთობაც კი დასწამა.

დიდი სიფრთხილით ამოიღეს ბოთლი ზვიგენის კუჭიდან და გარეცხეს. ახლა ბოთლის ირგვლივ შემოიკრიბნენ ცნობისმოყვარეობით გატაცებული გლენარვანი, მაიორი მაკნახს, კაპიტანი ჯონ მანგლი და ელენე — გლენარვანის ცოლი.

გლენარვანმა გამოამჩიებელივით დაუწყა ბოთლს სინჯვა. ხანდახან უბრალო შემთხვევა დიდ აღმოჩენასთან მიგიყვანს. გლენარვანი დიდი ცნობისმოყვარეობით სინჯავდა ბოთლს და თან ამბობდა:

— ვინ იცის ამ ბოთლის ამბავი! სანამ ზვიგენის კუჭში მოხვდებოდა, ის დიდხანს იქნებოდა ზღვასა და ოკეანეში.

ბოთლი გარედან დაფარული იყო მაგარი ნივთიერებით, საცობიც ძლიერ გაფუჭებულიყო წყლისაგან.

— ცუდი მდგომარეობაა, — თქვა გლენარვანმა, — თუ ბოთლში ქალაღდებია, სავალალო მდგომარეობაში იქნებიან. ბოთლი იმდენად ცუდადაა დასუთლი, რომ იგი უნდა დაღუპულიყო, მაგრამ ზვიგენმა გადაყლაპა და „დუნკანზე“ მოგვიტანა.

ამ ლაპარაკში გლენარვანმა ფრთხილად მოხადა ბოთლს საცობი, და ძლიერი, მარილიანი სურნელგება დატრიალდა მთელ კაიუტაში.

— რა არის შიგ? — გატაცებით ჰკითხა ელენემ.

— დიახ, მე არ შევმცდარვარ, — დინჯად თქვა გლენარვანმა, — ბოთლში ქალაღდებია.

მართლაც, ბოთლში დახვეული ქალაღდები იყო. ცხადად ჩანდა, რომ რაღაც დოკუმენტები უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ ქალაღდების ასე თავისუფლად ამოღებაც არ შეიძლებოდა!

ცოტახნის თათბირის შემდეგ, ბოთლს მოამტვრიეს თავი, და აშკარად გამოჩნდა კიდევ ერთმანეთთან მტკიცედ მიკრული, დაგორგლილი ქალაღდები. გლენარვანმა ამოიღო ქალაღდები, ფრთხილად დააშორა ისინი ერთმანეთს და თავის მაგიდაზე გაშალა.

ელენე, მაიორი და კაპიტანი მჭიდროდ შემოერტყენ მაგიდას და ცნობისმოყვარეობით ათვალეიერებდნენ გაშლილ ქალაღდებს.

თავისუფალი თარგმანი **ქ. თ-ძისა**

**შენიშვნა:** ქალაღდები წარმოადგენდა კაპიტან გრანტის გემის დაღუპვის ცნობებს. ამ ქალაღდების საშუალებით ვაიკეს კაპიტან გრანტის შვილებმა — 12 წლის რომბერტმა და მისმა დამ ელენემ — მამის ამბავი და შეუღდენ მის მოძებნას.

**ქ. თ.**

## რა შეამთხვა მონადირიკას აუკიკის ზყავი

### ზალვა მარინიზვილი

ჩემო პატარა მკითხველებო, აი რა საინტერესო შემთხვევები მიიპბო ერთმა ცნობალომა ზოოლოგმა და მონადირემ: 1934 წელს მისკოვის ზოოლოგიური პარკის დირექტის დაეალებით მე მოვაწყვე მონადირეთა ექსპედიცია შორეულ ცხელ აფრიკაში გასამგზავრებლად.

უნდა დაგვეკირა და ჩამოგვეყვანა ზოოპარკისათვის აფრიკის სხვადასხვა მტაცებელი ნადირები და ცხოველები.

მისის თვე იწყებოდა, როდესაც დავტოვეთ მისკოვი და აფრიკისაკენ გავეგზავრეთ მე არ მოგიყვებით დაწერილებით, თუ რადარა





დაბრკოლება გადაგველობა წინ, ვიდრე მივალწვე-  
დით აფრიკის ტროპიკულ ტყეებს, ვიდრე ვიი-  
ლაედით მის მაღალ მშენებერ პალმებს, მის მათ-  
ლიულად ამწვანებულ და აყვავებულ ბუნებას. მო-  
კლედ გეტყვი: გზაში ორი თვე და ხუთი დღე  
დაუჯავით და დიდის ვაჭირებითი მივალწვიეთ  
დანამწვლად ადგილას.

ორი დღის დასვენების შემდეგ, დავიჭირებთ  
ადგილობრივი მოსახლეობისაგან ოთხი მონა-  
დირე ზანგი და წავედით ნადირა და ცხო-  
ველთა შესაპყრობად, გულკეთილი ზებები, რ-  
გორც გზის მკოდნები, წინ მიგვიძლიონენ,  
ჩვენ კი — თხუთმეტი კაცი, ბადეებ და თოფებ  
ბომარკეებულნი, რკან მივდევდით. ფეხაკრეფით,  
უხმოდ მივიდიოდით დაბურულ ტყეში, ბოლოს  
ერთ ვაკე ადგილზე გავიდი. ჩვენს წინ გადი  
შალა თვალწარმატავი სანახაობა: დაკმული  
მინდორი აფერადებული იყო მშენებერი ტრო-  
პიკული მცენარეებით და სურნელოვანი ჯვავი-  
ლებით. კაცს ეგონებოდა, თითქოს უზარმაზარ-  
ი მოკარგული ხალიჩა დაფუკითა. შუა ადგი-  
ლას, ხარის თვალისით, ოჩანდა პატარა ტბა.  
ტბის ნაპირები პალმებით იყო შემკობილი.  
პალმებს თავს დასტრიალებდნენ მოშობილადი სო-  
ლამაზის ფირინელები... მოწინავენი შეჩერდნენ  
და ავიხსენს, ყოველდღიურად ამ ტბაზე ზებ-  
რების<sup>1)</sup> ჯოგე ორდის წყლის დასალევაკო, და  
გვიჩივის ჩავსაფრებულადივით. ჩვენ დაუყოვნებ-  
ლივ დავთანხმდით და მოხერხებულ ადგილას  
ჩავსაფრდით.

ერთი სათიკ არ იყო გასული, რომ შემო-  
გვესმა ფეხის ხმა, თითქოს ცხენოსანი ჯარა მო-  
დისო. კოტა ხნის შემდეგ მინდორზე გამოიშა-  
ლხენ სასურველი სტუმრები. ვალაღებელი ზებ-  
რები ტბისკენ მოქროდნენ. ყველაზე წინ დიდი  
ზებრამოხტოდა, ეტყობოდა, ჯოგის წინამძღოლი  
იყო. როგორც კი მოწინავე ზებრა ტბას მიუ-  
ახლოვდა, უეცრად შემოგვესმა საშინელი გრგვი-  
ნეა. შეშინებულნი ფეხზე წამოვიქცით და  
დაინახეთ უზარმაზარი ლომი, რთაელიც ზებ-  
რასკენ გადაბტა და თათი. ადღური დარტყმით  
მსხვერპლი მწაზე დასკა. ლომის ღრალზე  
სხვები დაფრთხენ და ჭთავს უშველეს, ჩვენ კი  
პირმინაღვამოკლებულნი დაერათ. ერთმა  
ჩვენთაგანმა ვეო მოითარნა და გაჯავრებულმა  
ლომს თოფი ესროლა. ლომმა მსხვერპლის  
გლუკას ითვი დახრება და ფაფარაყროლა მრას-  
ხანე თვალეპი ჩვენკენ გამოიხედა. დაკინახა  
თუ არა, საშინელი ღრალით გამოეკანა გა-  
აფთრებული. ეტყობოდა, დაჭრილი იყო. ეს  
რე უეცრად მოხდა, რომ ჩვენ დავბენით  
და შეშინებულნი იქით-აკეთ გავფანტენით. საუ-  
ბედლოდ, ლომმა მე შეასარო ცელი და  
ჩემკენ წამოვიდა. თოფი თუმკა მხარზე მქონდა  
გადადებული. მაკამ მისი მოხმარეა უვე გვიან  
იყო. გავბრდი, რაც ძალი და ლონე მქონდა,  
რომ ვაღამკონ ნასკოცხლე. გავბრდი, რად-  
გან უკან ფეხდაეხე მომდევნა სიყვარლი.

<sup>1)</sup> ზებრა კრეფული პატარა ცხენი.

# ბავშვების სიმღერა

ტექსტი გრ. არონიანი

მუსიკა თამარ შავერვაშვილისა

*Allegretto.* (პირველი ჯგუფი)

Canto *Allegretto.* მს სო-ფილ-ში სხოვ-რე-ხა

Piano *f* *mf*

გარ-ვი-ა ჰე თბი-ლო-ა მეფ-რე-ლოი ჰე-რი-ა

(მორე ჯგუფი)

ჰე- ჰა - ყა - რა რ - ლოი ჰა ნა-ლო-ა

სა - ჰე-ბარ სიმ-ლე-რას მღე-ნი-ან ჰე -

2. პატარებს ვეიტაცებს ჯმირობა,  
ვეთებით დროშების ფრიალზე.  
ერთმანეთს მიყვით პირობა  
ვიწავლოთ საგნები ფრიალზე.

3. გავიბრუნთ სკოლისკენ ზალისით  
პირველი ზარის ხმის წყაროლზე,  
ვაშხადლოთ საგნები ზვალისთვის  
ფრიალზე, ფრიალზე, ფრიალზე...